პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	9	5,977,743	3,280,061	2,537,596
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,977,743	3,280,061	2,537,596
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	84,475	457,767	621,952
მიღებული ავანსები		6,771,183	3,230,304	1,279,587
გადასახდელი პროცენტები		1,256	1,256	-
საგადასახადო ვალდებულებები		126,352	63,859	168,748
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,983,266	3,753,186	2,070,287
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,555,271	9,619,930	6,489,764

შპს "გუმბათი ჯგუფი"-ს დირექტორი

ანგარიშგება

შპს "გუმბათ ჯგუფი"-ს ფინანსური შედეგების შესახებ
 2017, 2018 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის

	შენიშვნა	31/12/2019	31/12/2018	31/12/2017
ამონაგები	11	6,440,267	7,890,742	10,081,743
პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება		(3,360,227)	(4,913,885)	(7,954,016)
საერთო მოგება		3,080,040	2,976,856	2,127,727
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(722,602)	(733,306)	(772,706)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები		(277,940)	(91,385)	(112,952)
სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა				
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		2,079,498	2,152,165	1,242,069
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	9	(394,119)	(269,131)	(248,622)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		748	93	1,024
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(261,134)	1,468	18,636
ცვეთა და ამორტიზაცია		(183,094)	(230,091)	(265,366)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	134	28,186
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(60,602)	(64,172)	(90,486)
მიმდინარე წლის მოგება		1,181,297	1,590,466	685,441
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		2,128,532	1,590,592	905,151
დივიდენდი		(625,444)	(1,052,526)	
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		2,684,385	2,128,532	1,590,592

შპს "გუმბათი ჯგუფი"-ს დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „გუმბათი ჯგუფი“ კანონით დადგენილი წესით დაფუძნდა და დარეგისტრირდა ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 19 ივლისს. რეგისტრაციის შემდგომ, ორგანიზაციას მიენიჭა უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი - 245567140. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის N 129. დღეის მდგომარეობით, საწარმოს მესაკუთრე (100 %-იან წილის მფლობელი) არის თამაზ ბალაძე (პ/ნ 61001000449), ხოლო დირექტორი - ლაშა ბალაძე (პ/ნ 61001038942).

კომპანია ქ. ბათუმში, ბაგრატიონის #129-ში ახორციელებს მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას და ფართების რეალიზაციას. ამავდროულად, კომპანია დაკავებულია სამშენებლო მომსახურების გაწევით და სამშენებლო-სარემონტო მასალების რეალიზაციით.

2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 8 ივნისის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მოზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანიის ხელმძღვანელობამ „ფუნქციონირებადი საწარმო“-ს სტანდარტზე დაყრდნობით შეაფასა აქვს თუ არა კომპანიას საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. კომპანია მიჩნეულია ფუნქციონირებად საწარმოდ, მის ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს. საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია მომავლის შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღიდან სულ მცირე თორმეტ კალენდარულ თვეს მოიცავდა.

კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ მიჩნევისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს:

- ☐ კომპანია საანგარიშო პერიოდებს ასრულებს მოგებით;
- ☐ 2018-2019 წლებში კომპანიამ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო საკმარისი ოდენობის ფულადი სახსრები შემდგომში საქმიანობის წარმატებით გასაგრძელებლად;
- ☐ კომპანია ფლობს აქტივების საკმაო მოცულობას იმისათვის, რომ წარმატებულად განაგრძოს ფუნქციონირება;

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია იყენებს ვალუტას, რომელიც გამოიყენება ეკონომიკურ გარემოში, სადაც ხორციელდება სამეწარმეო საქმიანობა. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ეროვნულ ვალუტაში - ლარში (GEL), რომელიც არის კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხა ქართულ ლარში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდა ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდა მოგებაში ან ზარალში.

4.2 ძირითადი საშუალებების აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ დაცულია აღიარების კრიტერიუმები. შენობა-ნაგებობები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ცვეთა. მიწის შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით და მას არ ერიცხება ცვეთა. ისეთი ელემენტები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექნომსახურებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი. ძირითადი საშუალების ღირებულება მოიცავს უშუალოდ აქტივის შეძენის დანახარჯებს, ასევე მოიცავს:

- ☐ მასალების ღირებულებას და პირდაპირი მუშაობის ხარჯებს;
- ☐ ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია მასალის/ნედლეულის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და გამოსაყენებელ მდგომარეობაში მოყვანასთან;

ძირითადი საშუალების აქტივებზე, ან ერთდროულად ფულად და არაფულად აქტივებზე გაცვლით შეძენის შემთხვევაში, კომპანია აქტივის თვითღირებულებას განსაზღვრავს გადაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებით.

არამატერიალური აქტივი წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთა დაერიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება, ან იმ შემთხვევაში თუ საკუთარი წარმოების ძირითად საშუალებასთან გვაქვს საქმე, იმ თარიღიდან როცა გამოყენებისთვის მზად არის აქტივი. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები ასეთია:

- ☐ შენობები - 20 წელი;
- ☐ სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;
- ☐ ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;
- ☐ ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5 წელი;
- ☐ 1000 ლარამდე ღირებულების ინვენტარი - 6 წელი;
- ☐ არამატერიალური აქტივი - 5 წელი.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მოქმედების ვადა და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ანგარიშგების დღეს და კორექტირდება საჭიროების მიხედვით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განიხილავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ ადგილი აქვს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურებას. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, ფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და უდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.3 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესის ღირებულებით. მარაგების

თვითღირებულება მოიცავს შემენის ხარჯებს, წარმოების ან კონვერტაციის ხარჯებს, და ასევე სხვა გაწეულ ხარჯებს, რაც საჭიროა ადგილმდებარეობამდე მისატანად. იმ შემთხვევაში, თუ წარმოებულ მარაგებზე მუშაობა მიმდინარეობს, ღირებულება მოიცავს შესაბამის წილ წარმოების ზედნადებ ხარჯებსაც. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.

გრძელვადიანი აქტივების ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია რეალიზაციას ახორციელებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით, რომლის დროსაც ხდება ძირითადად სავაჭრო მოთხოვნილებების ფორმირება. დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაანალიზება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.5 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

4.6 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი ვალდებულებების შეფასება ხდება დისკონტირების გარეშე და გამოიქვითება როგორც მიმდინარე ხარჯი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭიროა ასეთი ხარჯების აქტივების თვითღირებულებაში ასახვა. ვალდებულება აღიარდება იმ თანხით, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელი იქნება როგორც მოკლევადიანი ფულადი პრემია ან მოგებიდან მიღებული შემოსავლის განაწილება, თუ კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული

ვალდებულება დასაქმებულის მიმართ გადაიხადოს ეს თანხა მიმდინარე პერიოდში ან წარსულში გაწეული მომსახურებისათვის, და ამ შემთხვევაში ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საიმედოდ.

4.7 სესხები

კომპანია სარგებლობს საბანკო სესხით. კომპანია სესხებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს ხარჯად იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯი იყი გაწეული.

4.8 ამონაგები

საქონლის (მ.შ. ფართების) გაყიდვიდან/მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი ჩვეულებრივ საქმიანობად ფასდება და იზომება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, წმინდა ამონაგებით და სავაჭრო ფასდაკლების გათვალისწინებით. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრება უკვე გადაეცემა მყიდველს. ანაზღაურების მიღება, ასოცირებული ხარჯები და საქონლის შესაძლო უკან დაბრუნების უფლება მიიჩნევა საიმედოდ, თუ არ საჭიროებს მენეჯმენტის უწყვეტ ჩართულობას საქონელთან მიმართებაში და მისაღები თანხაც შეიძლება ჩაითვალოს საიმედოდ. თუ არსებობს ეჭვი, რომ მოხდება ფასის დაკლება და თანხის ოდენობა შეგვიძლია ჩავთვალოთ საიმედოდ, მაშინ ფასდაკლება აღიარებულია, როგორც გაყიდვების შემოსავლების შემცირება.

4.8.1 აღიარება

კომპანია საქონლის (მ. შ. ფართების) რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- ☐ კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- ☐ კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- ☐ შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- ☐ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს;
- ☐ შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

კომპანია ახდენს გარიგების პირობების გაანალიზებას იმის დასადგენად, თუ როდის მოხდა მყიდველისათვის საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების და სარგებელის გადაცემა. მეტ წილ შემთხვევებში, საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემა ემთხვევა მყიდველზე იურიდიული ან ქონებრივი უფლებების გადაცემას. თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან

დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება. ასეთი შემთხვევებია, როდესაც:

- კომპანიას რჩება ვალდებულება მიწოდებული საქონლის არადაამაყოფილებელ საექსპლუატაციო თვისებებზე, რომელსაც არ ითვალისწინებს გარიგების სტანდარტული პირობები;
- მყიდველს, ხელშეკრულებით განსაზღვრული გარკვეული მიზეზით, ან საკუთარი სურვილისამებრ, უფლება აქვს, გააუქმოს ხელშეკრულება და, ამდენად, საწარმოსათვის გაურკვეველია შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

თუ საწარმო იტოვებს მხოლოდ საკუთრებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს, ოპერაცია მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, საწარმო აღიარებს ამონაგებს. მაგალითად, გამყიდველი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ის იტოვებს საქონელზე საკუთრების იურიდიულ უფლებას მხოლოდ იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს კუთვნილი თანხის ამოღება. ანალოგიურად, საწარმო აღიარებს ამონაგებს, როდესაც ის მომხმარებელს სთავაზობს საქონლისთვის გადახდილი ფულის დაბრუნებას, თუ ის აღმოაჩენს ნაყიდი საქონლის წუნს, ან რაიმე სხვა მიზეზით იქნება უკმაყოფილო და საწარმოს შეუძლია დასაბრუნებელი თანხების ოდენობის საიმედოდ შეფასება. ასეთ შემთხვევაში, საწარმო აღიარებს ანარიცხს საქონლის მოსალოდნელ დაბრუნებასთან დაკავშირებით.

მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

4.8.2 ამონაგების შეფასება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების თანხებით.

4.9 საკუთარი კაპიტალი

კომპანია საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს კომპანიის მესაკუთრის მიერ კომპანიაში განხორციელებულ შენატანებს, ასევე საანგარიშო პერიოდის მოგებას ან ზარალს და გაუნაწილებელ მოგებაში მომხდარ ცვლილებებს.

4.10 ხარჯები

კომპანიის ხარჯები მოიცავს ზარალს და ისეთ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ასეთი ხარჯები სხვადასხვა სახის აქტივების შემცირებით ან კომპანიიდან გასვლით გამოიხატება. კომპანია აღიარებს ხარჯებს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. ხარჯების კლასიფიცირებას კომპანია ახდენს ფუნქციების მიხედვით.

4.11 დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადებისაგან. მიმდინარე და გადავადებული გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება განაწილებული მოგება, თუმცა თუ კომპანიაში ხდება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე დაგროვილი მოგების განაწილება, რომლის შესაბამისი გადასახადი გადახდილია სახელმწიფო ბიუჯეტში, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული გადასახადის ჩათვლა დივიდენდის გაცემის საანგარიშო პერიოდში.

მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება მოცემული პერიოდებისათვის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე და მენეჯმენტის გათვლებზე დაყრდნობით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით. მოგების გადასახადი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი აქვს გაუნაწილებელი მოგების გაცემას და შესაბამისად, წარმოიქმნება საგადასახადო ვალდებულება კონკრეტული საანგარიშო პერიოდის მიხედვით.

გადასახადები მოგების გადასახადის გარდა

გადასახადების აღიარება ხდება, როდესაც ადგილი აქვს ისეთ მოვლენას, რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც საგადასახადო აქტივები. კერძოდ, კომპანია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადით ბეგრავს წინასწარ მიღებულ საქონლის/მომსახურების ღირებულებას. საგადასახადო ვალდებულებები და საგადასახადო აქტივი გადახურულია ერთმანეთში და აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ჯამურად.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	1000 ლარამდე ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივი	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის	1,426,125	107,738	853,362	16,887	5,071	188,578	1,891	2,599,652
შემოსვლა	-	4,237	196	1,958	7,401	17,487	-	31,278
გასვლა	(62,803)	(370)	(3,520)	-	-	(13,045)	-	(79,738)
გადაფასების ნამეტი	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	1,363,322	111,605	850,039	18,844	12,472	193,020	1,891	2,551,193

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის	-	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა წლის განმავლობაში	(68,166)	(21,129)	(170,220)	(3,410)	(2,063)	-	(378)	(265,366)
დაგროვილი ცვეთის ელიმინირება	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 იანვრისთვის	(68,166)	(21,129)	(170,220)	(3,410)	(2,063)	-	(378)	(265,366)

ნეტო საბალანსო ღირებულება

ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის	1,426,125	107,738	853,362	16,887	5,071	188,578	1,891	2,599,652
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	1,295,156	90,476	679,819	15,434	10,409	193,020	1,513	2,285,827

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	1000 ლარამდე ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივი	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის	1,363,322	111,605	850,039	18,844	12,472	193,020	1,891	2,551,193
შემოსვლა	-	5,627	9,055	10,212	5,026	12,306	-	42,226
გასვლა	(877,831)	-	(1,608)	(4,730)	(740)	(11,178)	-	(896,088)
გადაფასების ნამეტი	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	485,491	117,232	857,486	24,326	16,758	194,147	1,891	1,697,330

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის	(68,166)	(21,129)	(170,220)	(3,410)	(2,063)	-	(378)	(265,366)
ცვეთა წლის განმავლობაში	(36,806)	(17,859)	(137,151)	(3,831)	(2,939)	(31,127)	(378)	(230,091)
დაგროვილი ცვეთის ელიმინირება	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 იანვრისთვის	(104,972)	(38,988)	(307,371)	(7,241)	(5,002)	(31,127)	(756)	(495,457)

ნეტო საბალანსო ღირებულება

ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის	1,295,156	90,476	679,819	15,434	10,409	193,020	1,513	2,285,827
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	380,519	78,244	550,115	17,085	11,756	163,020	1,135	1,201,873

ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	1000 ლარამდე ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივი	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისთვის	485,491	117,232	857,486	24,326	16,758	194,147	1,891	1,697,330
შემოსვლა	24,000	13,138	14,243	27,629	3,305	19,267	-	101,582
გასვლა	(1,223)	(9,111)	(3,918)	(1,474)	-	(5,990)	-	(21,717)
გადაფასების ნამეტი	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	508,268	121,259	867,810	50,481	20,063	207,424	1,891	1,777,196
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება								
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისთვის	(104,972)	(38,988)	(307,371)	(7,241)	(5,002)	(31,127)	(756)	(495,457)
ცვეთა წლის განმავლობაში	(20,026)	(14,922)	(111,836)	(5,962)	(2,627)	(27,343)	(378)	(183,094)
დაგროვილი ცვეთის ელიმინირება	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	(124,998)	(53,910)	(419,207)	(13,203)	(7,629)	(58,470)	(1,135)	(678,551)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისთვის	380,519	78,244	550,115	17,085	11,756	163,020	1,135	1,201,873
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	383,270	67,349	448,603	37,278	12,434	148,954	756	1,098,645

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2017

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მცირეფასიანი ინვენტარი	74,134
ნედლეული და მასალები (სამშენებლო-სარემონტო)	1,028,404
დაუმთავრებელი მშენებლობა	1,271,020
სულ	2,373,558

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2018

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მცირეფასიანი ინვენტარი	129,241
ნედლეული და მასალები (სამშენებლო-სარემონტო)	1,557,073
დაუმთავრებელი მშენებლობა	2,586,377
მზა პროდუქცია	1,772,130
სულ	6,044,820

მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბრის 2019
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	
მცირეფასიანი ინვენტარი	88,665
ნედლეული და მასალები (სამშენებლო-სარემონტო)	1,206,217
დაუმთავრებელი მშენებლობა	6,788,308
მზა პროდუქცია	1,913,907
სულ	9,997,097

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,056,882
მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან	4,099
მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან (პროცენტები)	1,024
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	6,251
სულ	1,068,256

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	791,305
მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან	63,215
მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან (პროცენტები)	1,117
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	308,135
სულ	1,163,772

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	31 დეკემბერი 2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,532,793
მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან	148,368
მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან (პროცენტები)	1,117
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	333,329
სულ	3,015,607

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2017 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	31 დეკემბერი 2017
ფული სალაროში	1,841
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, ლარში	194,993
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, უცხოურ ვალუტაში	20,095
სულ	216,929

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	31 დეკემბერი 2018
ფული სალაროში	398
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, ლარში	12,361
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, უცხოურ ვალუტაში	393,441
სულ	406,200

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	31 დეკემბერი 2019
ფული სალაროში	57,828
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, ლარში	1,440
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, უცხოურ ვალუტაში	5,342
სულ	64,609

9. პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები

მიღებული სესხები საანგარიშო პერიოდების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

გრძელვადიანი სესხები	უცხოური ვალუტაში (USD)			ერ. ვალუტაში (GEL)		
	2019 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2017 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2019 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2017 წლის 31 დეკემბრის მდგ.
ფინანსური ინსტიტუტებიდან	1,988,870	1,071,917	901,212	-	-	-
ფიზიკური ფირებიდან	100,000	-	10,000	-	462,251	275,271
სულ	2,088,870	1,071,917	911,212	-	462,251	275,271

მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტები საანგარიშო პერიოდების მიხედვით:

დარიცხული პროცენტი	ექვივალენტი ერ. ვალუტაში (GEL)		
	2019 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2017 წლის 31 დეკემბრის მდგ.
ფინანსური ინსტიტუტებიდან	374,926	249,697	155,633
ფიზიკური ფირებიდან	19,194	19,433	92,989
სულ	394,119	269,131	248,622

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

ფინანსური ვალდებულებები:	31 დეკემბერი 2017
კრედიტორული დავალიანება	621,952
სულ	621,952

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

ფინანსური ვალდებულებები:	31 დეკემბერი 2018
კრედიტორული დავალიანება	457,767
სულ	457,767

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

ფინანსური ვალდებულებები:	31 დეკემბერი 2019
კრედიტორული დავალიანება	84,475
სულ	84,475

11. ამონაგები

ამონაგები 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან	6,918,380
შემოსავალი სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან	537,465
შემოსავალი ბინათმშენებლობიდან	2,392,580
სხვა შემოსავალი	233,319
სულ	10,081,743

ამონაგები 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან	2,688,581
შემოსავალი სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან	58,995
შემოსავალი ბინათმშენებლობიდან	3,980,307
სხვა შემოსავალი	1,162,858
სულ	7,890,742

ამონაგები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან	3,209,470
შემოსავალი სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან	1,273,820
შემოსავალი ბინათმშენებლობიდან	1,903,443
სხვა შემოსავალი	53,533
სულ	6,440,267

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შრომის ანაზღაურება	(503,599)
საიჯარო ქირა	(24,000)
ადმინისტრაციული ხარჯი	(38,416)
დაზღვევის ხარჯი	(13,648)
საწვავის ხარჯი	(28,419)
გაზის ხარჯი	(3,867)
კომპიუტერის ხარჯი	(3,469)
ინტერნეტის ხარჯი	(42)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(28,334)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(1,080)
სხვა საერთო ხარჯი	(118,984)
საქველმოქმედო ხარჯი	(8,846)
სულ	(772,706)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შრომის ანაზღაურება	(548,244)
საიჯარო ქირა	(13,500)
ადმინისტრაციული ხარჯი	(52,186)
დაზღვევის ხარჯი	(3,558)
საწვავის ხარჯი	(29,918)
გაზის ხარჯი	(2,664)
კომპიუტერის ხარჯი	(2,998)
ინტერნეტის ხარჯი	(114)
საკონსულტაციო ხარჯი	(2,000)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(21,108)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(1,763)
სხვა საერთო ხარჯი	(53,333)
საქველმოქმედო ხარჯი	(1,920)
სულ	(733,306)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 წლის 31 დეკემბერს
 დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს
 შემდენაირად:

	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შრომის ანაზღაურება	(518,005)
სოციალური დანარიცხები	(32,422)
საიჯარო ქირა	(6,250)
ადმინისტრაციული ხარჯი	(37,058)
დაზღვევის ხარჯი	(24,989)
საწვავის ხარჯი	(27,243)
გაზის ხარჯი	(1,778)
კომპიუტერის ხარჯი	(3,217)
ინტერნეტის ხარჯი	(947)
საკონსულტაციო ხარჯი	(9,509)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(12,872)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(9,364)
სხვა საერთო ხარჯი	(36,886)
საქველმოქმედო ხარჯი	(2,060)
სულ	(722,602)

13. გასული საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების კორექტირება

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება გადაეხედა გასული საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგებისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია გასულ წლებში ძირითადად სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვას აწარმოებდა საგადასახადო მიზნებისათვის, ითვალისწინებდა რა მოქმედი საგადასახადო ნორმების მოთხოვნებს, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მონაცემები რიგ შემთხვევაში არ აღომჩნდა მსს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში. კერძოდ, დამატებული ღირებულების გადასახადის სრულყოფილად დეკლარირების მიზნით, კომპანია ახდენს წინასწარ გადახდილი საქონლის და მომსახურების ღირებულების ჩართვას დასაბეგრ შემოსავალში, რაც იწვევს ამონაგების ზრდას მიღებული ავანსების თანხით. ასევე, არ იყო გათვალისწინებული მსს საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნა რელიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულების ფორმირებასთან დაკავშირებით (ხდებოდა ისეთი დანახარჯების თვითღირებულებაზე მიკუთვნება, რაც წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის ხარჯს მისი გაწევის დროის შესაბამისად). აღნიშნული ხარვეზების კორექტირების შედეგად გასული საანგარიშო პერიოდის ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ მიიღებს შემდეგ სახეს:

შპს "გუმბათი ჯგუფი"-ს ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

აქტივები	კორექტირებამდე	კორექტირება	კორექტირებული
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1,200,739	1,134	1,201,873
მიწის ნაკვეთები	-	533,849	533,849
ინვესტიციები სხვა საწარმოში	493,893	(493,893)	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,694,632	41,091	1,735,723
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8,545,247	(2,500,427)	6,044,820
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,092,939	70,832	1,163,772
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	6,353	-	6,353
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	218	-	218
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	262,844	262,844
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	406,023	177	406,200
სულ მიმდინარე აქტივები	10,050,781		7,884,208
ჯამური აქტივები	11,745,413		9,619,930
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	9,190	9,190
გადაფასების რეზერვი	34,369	(152,746)	(118,377)
გაუნაწილებელი მოგება	3,845,890	(1,717,358)	2,128,532
პარტნიორთა კაპიტალი	2,418,506	(1,851,168)	567,338
სულ კაპიტალი და რეზერვები	6,298,765		2,586,683
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები	3,289,901	(9,840)	3,280,061
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,289,901		3,280,061
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	582,626	(124,859)	457,767
მიღებული ავანსები	1,488,348	1,741,956	3,230,304
გადასახდელი პროცენტები	1,256	-	1,256
საგადასახადო ვალდებულებები	84,517	(20,658)	63,859
სულ მიმდინარე ვალდებულებები	2,156,747		3,753,186
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	11,745,413		9,619,930

14. დივიდენდი

კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდები საანგარიშო პერიოდების მიხედვით:

	2019 წელი	2018 წელი
დარიცხული დივიდენდი	625,444	1,052,526
დივიდენდის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან	31,272	52,626
გაცემული დივიდენდი	594,172	999,900

კომპანიამ 2018 და 2019 წლების საანგარიშო პერიოდებში გასცა დივიდენდი გასული საანგარიშო პერიოდების მიხედვით დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, რომლის შესაბამისი მოგების გადასახადი გადახდილია შესაბამისი საანგარიშო პერიოდების მიხედვით. წარმოდგენილი დივიდენდი მოიცავს საქართველოში გათვალისწინებულ გადასახადებს, დაბეგრილია გადახდის წყაროსთან და შესაბამისად დეკლარირებულია საგადასახადო ორგანოებში.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის დირექტორის მიერ 2021 წლის 18 იანვარს.

შპს „გუმბათი ჯგუფი“-ს დირექტორი _____ /ლ. ბალაძე/